ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/ი1890-18

"02" 11 2018 წ.

დადგენილება №000038
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

02.11.2018წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ მიხეილ მაღლაკელიძემ განვიხილე 2018 წლის 2 ნოემბრის №000038 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი **ს.ს. „ანა ჯგუფი"-ს** (ს/კ №200004057; დირექტორი - დავით ცაავა; მის: ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ჭყონდიდელის ქ., №26) მიმართ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, ჭყონდიდელის ქ. №26–ში (ს/კ №01.12.12.006.007), (ყოფ. ს/კ №01.12.12.006.004) ს.ს. „ანა ჯგუფი"-ს მიერ, განხორციელდა არსებული შენობა–ნაგებობის (№21/3) რეკონსტრუქციის მშენებლობა, ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის №387702 11.10.2012წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ნაწილობრივ შეცვლილია შენობის გაბარიტი და ფართი. **ფასადებზე** ნაწილობრივ შეცვლილია კედლების ღებვის ფერი. შეცვლილია პარაპეტის მოპირკეთების მასალა. **„11-2" ფასადზე:** შეცვლილია ვიტრაჟის გაბარიტი და ვიტრაჟში შეცვლილია კარის ნახატი. **„1-11" ფასადზე: „1-2"** მონაკვეთში გაუქმებულია ფანჯარა. „10-11" მონაკვეთში კედლის შესაღებია. ამავე მონაკვეთში გაუქმებულია ფანჯარა და დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო მილი. **„3-4"** მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გისოსის კარი. **„ე-თ" ფასადზე:** შეცვლილია კედლის ფორმა. დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი. გაუქმებულია ცოკოლის მოპირკეთება. **„თ-ა" ფასადზე:** ნაწილობრივ შეცვლილია კედლის ფორმა. დამატებით მოწყობილია ფრამუგები. დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი. შეცვლილია საკადასტრო კოდი (ნაცვლად 01.12.12.006.004 არის 01.12.12.006.007) და მიწის ნაკვეთის ფართობი. **შენობის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვარს.**

2018 წლის 2 ნოემბერს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის „ვ" და „ზ" პუნქტების საფუძველზე, შედგა შემოწმების აქტი №00038

„სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.” საქმეშია, მხარის №19/01182202152-17 08.08.2018წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში 2018 წლის 7 მარტს შესული №2051-IIს ცვლილებით (სარეგისტრაციო კოდი №240110000.05.001.018779; გამოქვეყნების თარიღი 21.03.2018წ.) აღნიშნულ სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობა განისაზღვრება 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა” პუნქტის „ა.ბ.” ქვეპუნქტით და მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს პირის დაჯარიმებას 10000 (ათიათასი) ლარის ოდენობით. ვინაიდან, სამართალდარღვევა ჩადენილია დასახელებული ცვლილებებისა და დამატებების ამოქმედებამდე (არქიტექტურული პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ №387702 11.10.2012წ. ბრძანებით მშენებლობის ვადად განისაზღვრა 2012 წლის 15 ოქტომბრიდან 2013 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით, შესაბამისად სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოებია აღნიშნულ პერიოდში), ხოლო საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ” 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს”, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს გაზრდილი საჯარიმო თანხის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ს.ს. „ანა ჯგუფი”-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა” პუნქტის „ა.ბ.” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, ჭყონდიდელის ქ. №26–ში (ს/კ №01.12.12.006.007), (ყოფ. ს/კ №01.12.12.006.004) განხორციელდა არსებული შენობა–ნაგებობის (№21/3) რეკონსტრუქციის მშენებლობა, ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის №387702 11.10.2012წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ”, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ა” პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა” პუნქტის „ა.ბ.” ქვეპუნქტით,

**დავადგინე:**

1. ს.ს. „ანა ჯგუფი” დაჯარიმდეს 3000 (სამიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის (არსებული შენობა–ნაგებობის (№21/3) რეკონსტრუქცია) მშენებლობისათვის;

2. ს.ს. „ანა ჯგუფი”-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში

„სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.“ საქმეშია, მხარის №19/01182202152-17 08.08.2018წ. განცხადება; ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში 2018 წლის 7 მარტს შესული №2051-IIს ცვლილებით (სარეგისტრაციო კოდი №240110000.05.001.018779; გამოქვეყნების თარიღი 21.03.2018წ.) აღნიშნულ სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობა განისაზღვრება 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.ბ.“ ქვეპუნქტით და მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს პირის დაჯარიმებას 10000 (ათიათასი) ლარის ოდენობით. ვინაიდან, სამართალდარღვევა ჩადენილია დასახელებული ცვლილებებისა და დამატებების ამოქმედებამდე (არქიტექტურული პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ №387702 11.10.2012წ. ბრძანებით მშენებლობის ვადად განისაზღვრა 2012 წლის 15 ოქტომბრიდან 2013 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით, შესაბამისად სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოებია აღნიშნულ პერიოდში), ხოლო საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს გაზრდილი საჯარიმო თანხის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ს.ს. „ანა ჯგუფი“-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.ბ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, ჭყონდიდელის ქ. №26–ში (ს/კ №01.12.12.006.007), (ყოფ. ს/კ №01.12.12.006.004) განხორციელდა არსებული შენობა–ნაგებობის (№21/3) რეკონსტრუქციის მშენებლობა, ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის №387702 11.10.2012წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ა“ პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.ბ.“ ქვეპუნქტით,

**დავადგინე:**

1. ს.ს. „ანა ჯგუფი“ დაჯარიმდეს 3000 (სამიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის (არსებული შენობა–ნაგებობის (№21/3) რეკონსტრუქცია) მშენებლობისათვის;

2. ს.ს. „ანა ჯგუფი“-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში

არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, ს.ს. „ანა ჯგუფი"- დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, „დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7);

**მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე** **მიხეილ მაღლაკელიძე**

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება N 18489650

7.11.2018

GEL
3000.00
თანხა სიტყვიერად

ა2001025129, GEO

გადამხდელი:

გადამხდელის ანგარიში GE03LB0015145010427137

საღდი ანგარიშსწორებით გად.

სს "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი LBRTGE22

სამიათასი ლარი

აც სრულდება გადაბდა

დასახელება: ს.ს. "ანა ჯგუფი"

საიდენტიფიკაციო კოდი/ პირადი ნომერი: 200004057

ბენეფიციარის დასახელება: ერთიანი სახაზინო ანგარიში

ბენეფიციარის ანგარიში/სახაზინო კოდი: 300773263

ბენეფიციარის ბანკი/ხაზინა: ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი TRESGE22

საიდენტიფიკაციო კოდი:

გადახდის დანიშნულება: დადგენილება N 000038 სამშ. დარღვევის საქმე N 4-1/დ1890-18. ს.ს. "ანა ჯგუფი" N200004057 შემოსავალი საწვავებიდან (ჯარიმები და საურავები) არჩიტ

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერა:

ბანკის აღნიშვნები

შესრულების თარიღი:
7.11.2018

ბანკში შემოსვლის თარიღი:
7.11.2018

LBRTGE22